



საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის ს ა კ რ ე ბ უ ლ ო



KA000017184765719

0900 ქ. ახმეტა ჩოლოვაშვილის ქ N49 Tel: +995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ-ფოსტა: akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 8

06 / მარტი / 2019 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე“ ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადების მონონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 62-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის № 23 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურები და კრიტერიუმები“-ს მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. მონონებულ იქნეს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2019 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადება თანდართული სახით.
2. დაევალოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერს განახორციელოს საპროექტო წინადადებების ინიცირება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში.
3. განკარგულება გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულების გასაჩივრება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში შეიძლება თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის გამზ. №41).

| ახმეტის მუნიციპალიტეტი 2019 წლის რეგიონალური პროექტები დანართი “ 2 | | | | | | |
|--------------------------------------------------------------------|-----------------------------------------|------------------------------------------------------------------------|-----------------------------------------------|----------------------|------------------------------------------|----------|
| № | პროექტები | პროექტის სრული ღირებულება (საპროექტო დოკუმენტაციის ღირებულების გარეშე) | მ.შ. მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილი თანხა | მ.შ. თანადაფინანსება | პროექტის განხორციელების სავარაუდო ვადები | შენიშვნა |
| 1 | ქ. ახმეტაში კოსტავას ქუჩის რეაბილიტაცია | 78260 | 74260 | 4000 | 01.06.2019 01.09.2019 | |
| | ჯამი | 78260 | 74260 | 4000 | | |

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

თამარ ყვინიშვილი